ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ51.51220121**

თარიღი:**12/01/2022**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის საკითხებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული დახურული კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატების შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის საკითხებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული დახურული კონკურსის პროგრამა, პირობები და კანდიდატების შეფასების ფორმები, თანახმად №1 დანართისა.

2. დამტკიცდეს „კანდიდატთა შეფასების ფურცელი“, თანახმად №2 დანართისა.

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 12 იანვრიდან.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

ლელა შამათავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი №1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის საკითხებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული დახურული კონკურსის პროგრამა, პირობები და კანდიდატების შეფასების ფორმები

მუხლი 1. წესის მიზნები

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის საკითხებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული დახურული კონკურსის პროგრამა, პირობები და კანდიდატების შეფასების ფორმები“ (შემდგომ - წესი) განსაზღვრავს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომ - საკრებულო) პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის საკითხებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დახურული კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 19 ივლისის №ბ51.51212003 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ დახურულ კონკურსში (შემდგომ - კონკურსი) შემოსული განაცხადების გადარჩევის და კონკურსის ყველა ეტაპზე შეფასებებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის გასატარებელ პროცედურებს.

მუხლი 2. კონკურსის ეტაპები და ვადები

1. კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა - რაც გულისხმობს განაცხადის შესაბამისობის დადგენას წამოყენებულ მოთხოვნებთან;

ბ) კანდიდატის შეფასება - რაც გულისხმობს კანდიდატის ზეპირ გამოცდას და გასაუბრებას, რომელიც ტარდება კომისიის მიერ კანდიდატის პროფესიული ცოდნის დონის და პირადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დადგენის მიზნით;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება - რაც გულისხმობს პროფესიული საჯარო მოხელის (შემდგომ - მოხელე) ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის დასანიშნად წარდგენას, ან კონკურსის ჩაშლილად გამოცხადებას.

2. კონკურსის ეტაპების ჩატარების მაქსიმალური ვადები განისაზღვრება ამ წესით, ხოლო თითოეული ეტაპის დაწყებისა და დასრულების კონკრეტული თარიღები ან/და ვადები - ამ წესის საფუძველზე შემუშავებული და კომისიის მიერ დამტკიცებული კონკურსის ჩატარების გრაფიკით. კონკურსის გრაფიკით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებებიდან რომელიმე ღონისძიების საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, კომისია ხელმძღვანელობს მომდევნო ღონისძიებისთვის (ღონისძიებებისთვის) განსაზღვრული ვადებით, რისთვისაც შესაბამისი ვადით გადმოიწევს მომდევნო გასატარებელი ღონისძიების დაწყების და დასრულების თარიღები.

3. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

მუხლი 3. კონკურსის პირველი ეტაპი

1. კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისთვის

დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.

2. კონკურსში მონაწილეობისთვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, კომისიის დავალებით, უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

3. საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი განაცხადების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ადგენს განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

4. განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მოწმდება კონკურსის ფარგლებში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით შემოსული აპლიკაცია და თანდართული დოკუმენტები.

5. აპლიკაციაში მითითებული ინფორმაცია და თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში ასახულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია, ან წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, კანდიდატი კონკურსის მეორე ეტაპზე გადასვლას არ დაექვემდებარება.

6. კანდიდატი კონკურსის მეორე ეტაპზე გადასვლას არ დაექვემდებარება, თუ:

ა) არასრულად არის წარმოდგენილი დოკუმენტები (აკლია ერთი ან რამოდენიმე დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილი იყო კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებით, ან/და წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ ხერხდება პირის ან ფაქტის იდენტიფიკაცია);

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტები შეუსაბამოა დადგენილ მოთხოვნებთან (წარმოდგენილი დოკუმენტებიდან თუნდაც ერთი არ აკმაყოფილებს კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებით განსაზღვრულ რომელიმე მოთხოვნას);

გ) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ყალბია, არ შეესაბამება სინამდვილეს, ან/და შეუძლებელია მისი ამოცნობა.

7. განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგებს საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში წარუდგენს კომისიას, რაც ფორმდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერით და დასტურდება კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

8. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგებს 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კომისია და კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატების კონკურსში დაშვების ან/და კონკურსში დაშვებაზე უარის თქმის შესახებ.

9. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები, კომისიის შესაბამისი სხდომიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს კონკურსის მეორე ეტაპის გამართვის თარიღამდე 7 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა - მომდევნო სამუშაო დღის ჩათვლით, ეცნობება კანდიდატს, მის მიერ აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

10. კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია კანდიდატს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დამატებით უგზავნის დეტალურ ინფორმაციას მისი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ.

11. კანდიდატის მხრიდან საჯარო სამსახურის ბიუროსთვის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მოთხოვნით მიმართვისა და ბიუროს მხრიდან განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, კომისია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას, კანდიდატის კონკურსის მომდევნო ეტაპზე დაშვების შესახებ.

12. იმ კანდიდატთა სია, რომლებიც ამ მუხლის მე-8 ან/და მე-11 პუნქტების შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილებების) საფუძველზე დაშვებულნი იქნენ კონკურსის მეორე ეტაპზე, შესაძლებელია გამოქვეყნდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.khobi-sakrebulo.ge), პირველი ეტაპის შედეგების შესახებ ბოლო გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

13. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ ვაკანსიაზე არც ერთი განაცხადი არ იქნა შემოსული, კომისია პირველი ეტაპის შედეგების განხილვისთანავე იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ.

მუხლი 4. კონკურსის მეორე ეტაპი

1. კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

2. კანდიდატის შეფასება ემყარება კანდიდატის სამუშაო გამოცდილებისა და მისი პროფესიული ცოდნის მოხელის ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობასთან, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან და კვალიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენას.

3. კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანამიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი.

4. კანდიდატის შეფასება ხდება:

ა) ზეპირი დავალების მიცემით;

ბ) გასაუბრებით;

5. ზეპირი დავალების მიცემა გულისხმობს კანდიდატისთვის ვაკანტური თანამდებობისთვის განსაზღვრული საკონკურსო თემატიკის ფარგლებში მომზადებული შეკითხვების დასმას, ამ თანამდებობისთვის დადგენილი სამუშაოს აღწერილობისა და ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში სიტუაციური ზეპირი მაგალითების მიცემას და მის მიერ გაცემული პასუხების შეფასებას.

6. გასაუბრება მოიცავს კანდიდატის პირადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დადგენის მიზნით კანდიდატთან გასაუბრებას.

7. კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებულ კანდიდატთა სია, მეორე ეტაპის ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის მითითებით ქვეყნდება მეორე ეტაპის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე მაინც. ინფორმაცია კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვების, ან არდაშვების შესახებ, კანდიდატს უნდა ეცნობოს მეორე ეტაპის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა - მომდევნო სამუშაო დღის ჩათვლით.

8. კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება იმართება კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეტყობინებიდან არაუადრეს 7 კალენდარული დღისა და პირველი ეტაპის შედეგების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისი კანდიდატისთვის შეტყობინებიდან არაუადრეს 2 კალენდარული დღისა.

9. კონკურსის მეორე ეტაპის დაწყებამდე 1 საათით ადრე იწყება კანდიდატთა რეგისტრაცია.

10. კანდიდატი ვალდებულია კონკურსის მეორე ეტაპზე გამოცხადდეს რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში - შეფასების დაწყებამდე 1 საათის ფარგლებში.

11. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა) გარეშე გამოცხადებული კანდიდატი კონკურსის მეორე ეტაპზე არ დაიშვება.

12. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ კანდიდატი ვალდებულია, იმყოფებოდეს რეგისტრაციის ადგილზე და დაელოდოს გამოძახებას.

13. შეფასების დაწყების დროისთვის, საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, კანდიდატთა რეგისტრაციის ფურცელზე კეთდება ჩანაწერი კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულების შესახებ, რის შემდგომაც, დაგვიანებული პირები მეორე ეტაპზე არ დაიშვებიან.

14. კონკურსის მეორე ეტაპზე დაუშვებელია მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა. კანდიდატი ვალდებულია შეფასების დაწყებამდე აღნიშნული საშუალებები ჩააბაროს კომისიის უფლებამოსილ პირს.

15. შეფასება ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით

ა) კანდიდატებს შეფასების ოთახში იძახებს კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი, კანდიდატების სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით. შეფასების ოთახში კანდიდატები შედიან სათითაოდ;

ბ) შეფასებისთვის კომისიის წევრები კანდიდატს მონაცვლეობით აძლევენ ზეპირ დავალებებს და ასევე წარიმართება გასაუბრება ამ პუნქტით დადგენილი წესით;

ბ) ზეპირი დავალების ფარგლებში, კომისია კანდიდატს კითხვებს უსვამს კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის განსაზღვრული სამართლებრივი აქტებიდან, კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვების შესაბამისად. კითხვები შეიძლება დაისვას განსაზღვრული თანმიმდევრობით. შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმაც განსაზღვრული საკითხების ირგვლივ, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხებზე;

გ) ზეპირი დავალების ფარგლებში კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მისცეს დავალება ამ თანამდებობისთვის დადგენილი სამუშაოს აღწერილობისა და ფუნქცია-მოვალეობების (კომპეტენციის) ფარგლებში სიტუაციური მაგალითების გადასაწყვეტად;

დ) გასაუბრების ფარგლებში კომისია კანდიდატს კითხვებს უსვამს პირადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, მისი გამოცდილებისა და კომპეტენციის დადგენის მიზნით;

ე) კომისიის წევრები თითოეულ კანდიდატზე აკეთებენ ინდივიდუალურ ჩანაწერებს კომისიის მიერ შემუშავებულ კანდიდატთა შეფასების ფურცელში. შეფასების ფურცელი წარმოადგენს კომისიის წევრისთვის კანდიდატთა უნარ-ჩვევების შედარებისთვის ხელშემწყობ ფორმას, რომელიც მას ეხმარება საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კანდიდატთა შეფასების ფურცელში შეფასებები კეთდება ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმების მიხედვით. ძირითადი კრიტერიუმები მოიცავს შეფასების ფურცლისთვის წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ხოლო დამატებითი კრიტერიუმები შეირჩევა კომისიის წევრის შეხედულებით. კომისიის წევრს უფლება აქვს გამოიყენოს, ან არ გამოიყენოს დამატებითი კრიტერიუმები, თანაბრად ყველა კანდიდატისთვის;

ვ) შეფასების დასრულების შემდეგ კანდიდატი ტოვებს ოთახს.

16. შეფასების დასრულების შემდგომ, შეფასების თითოეულ ფურცელზე დაიტანება კომისიის წევრის სახელი, გვარი, ხელმოწერა და შევსების თარიღი. კომისიის წევრთა მიერ შევსებული შეფასების ფურცლები გროვდება და გადაეცემა საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირს, ამ წესის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების განსახორციელებლად.

17. საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.

18. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი მისი შედგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა - არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წარედგინება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

მუხლი 5. კონკურსის მესამე ეტაპი

1. კომისიის წევრთა მიერ შევსებული კანდიდატთა შეფასების ფურცლების საფუძველზე 3 სამუშაო დღის ვადაში მზადდება კანდიდატთა მიერ მიღებული ქულების ჯამური მონაცემები და თითოეულ კანდიდატზე გამოიყვანება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული, კომისიის წევრთა იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რამდენმაც მიიღო მონაწილეობა მის შეფასებაში (რამდენიც ესწრებოდა შეფასების ეტაპს).

2. კანდიდატთა მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის მიხედვით დგება კანდიდატთა რეიტინგი თითოეულ ვაკანსიაზე და ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში წარედგინება კომისიას.

3. კანდიდატთა რეიტინგის მიხედვით ეწყობა კენჭისყრა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. თანაბარი საშუალო ქულის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომელსაც მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილების ფარგლებში აქვს შესაბამისი მიმართულებით მუშაობის უფრო მეტი სტაჟი. თანაბარი სტაჟის ან სამუშაო გამოცდილების ქონის არასავალდებულოობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს განათლების უფრო მაღალი ხარისხი. განათლების თანაბარი ხარისხის შემთხვევაში ყურადღება ექცევა საერთო სტაჟის ოდენობას.

4. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს.

5. კენჭისყრა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად იმართება შემდეგი პრინციპით:

ა) თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენისთვის კენჭისყრაზე კომისიას პირველად წარედგინება უმაღლესი ქულების მქონე კანდიდატი (რეიტინგის მიხედვით პირველი კანდიდატი);

ბ) კენჭისყრაზე წარდგენილი კანდიდატის დასანიშნად წარდგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომდევნო კანდიდატს (კანდიდატებს) კენჭი აღარ ეყრება (ეყრებათ) და მიიღება გადაწყვეტილება მომდევნო კანდიდატისთვის (დანარჩენი კანდიდატებისთვის) დასანიშნად წარდგენაზე უარის თქმის შესახებ;

გ) იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი ქულების მქონე კანდიდატის დასანიშნად წარდგენაზე უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული (ვერ დაგროვდა საკმარისი ხმების რაოდენობა), კენჭისყრის პროცესში ერთვება რეიტინგის მიხედვით შემდეგი კანდიდატი და ა. შ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

დ) იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით განსაზღვრული პროცედურებით ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ.

6. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის მეორე ეტაპში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კანდიდატმა, ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები არ ხორციელდება და კომისიის საბოლოო გადაწვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნეს კანდიდატის შეფასებისთვის განსაზღვრულ დღეს, იმავე სხდომაზე.

7. კომისია მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

8. კომისია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა - არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თითოეულ კანდიდატს მის მიერ აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე აცნობებს მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას.

მუხლი 6. კანდიდატის მიერ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგი

1. თუ კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატი უარს განაცხადებს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნაზე, კომისია უფლებამოსილია, იმსჯელოს ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კონკურსში მონაწილე სხვა კანდიდატის წარდგენაზე ან მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ.

2. კონკურსის ჩაშლილად გამოცხადებასთან დაკავშირებით კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

3. კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კონკურსში მონაწილე სხვა კანდიდატის წარდგენაზე ან კონკურსის ჩაშლილად გამოცხადებაზე გადაწყვეტილებას იღებს დასანიშნად წარდგენილი კანდიდატის მხრიდან მოხელის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, კანდიდატების შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია, ჩაატაროს გასაუბრება.

მუხლი 7. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებით საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილ განცხადებასთან მიმართებაში საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კომისია განიხილავს 3 სამუშაო დღის ვადაში და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას, კენჭისყრის საფუძველზე.

2. საჭიროების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით გაფართოებული სხდომის მოწვევის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე ლელა შამათავა

კანდიდატთა შეფასების ფურცელი

შევსების თარიღი: _____

ვაკანსიის ნომერი:
თანამდებობის დასახელება:
ადგილების რაოდენობა:
კანდიდატთა რაოდენობა:

N	კანდიდატის სახელი და გვარი	შეფასება (ქულები)									დამატებითი ინფორმაცია (შენიშვნა)	საბოლოო გადაწყვეტილება
		ძირითადი კრიტერიუმები					დამატებითი კრიტერიუმები			ქულების ჯამი		
		პროფესიული ცოდნა	კომუნიკაციის უნარი	მიტყველების უნარი	განათლება	გამოცდილება						
1.												
2.												
3.												

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისიის წევრი:

--- ---

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

შეფასების დონეები:
1 ქულა – დაბალი (მინიმალურ დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს)
2 ქულა – საშუალოზე დაბალი (მინიმალურად აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს)
3 ქულა – საშუალო (დამაკმაყოფილებელი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)
4 ქულა – საშუალოზე მაღალი (საშუალოზე მაღალი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)
5 ქულა – მაღალი (მაღალი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)

კომისიის თავმჯდომარე ლელა შამათავა